შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის
მაგისტრატურის დებულება

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3
მუხლი 2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება 3
მუხლი 3. განაცხადი 3
მუხლი 4. მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობა 4
მუხლი 5. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხილვა და დამტკიცება 4
მუხლი 6. პროგრამის მოცულობა 4
მუხლი 7. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი 5
მუხლი 8. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისია 6
მუხლი 9. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვა 6
მუხლი 10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება 6
დანართი 1 7
დანართი 2 13
დანართი 3 14

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. დებულება აწესრიგებს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლაში სამაგისტრო პროგრამები განხორციელებისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებე წესებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების და სკოლის დებულების შესაბამისად.
2. მაგისტრატურის მიზანია ამა თუ იმ დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემა, სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.
3. უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის მაგისტრატურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს კვალიფიციური კადრის მომზადებას და მთავრდება მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

მუხლი 2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სკოლის მიერ განხორციელებულ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე.
2. მაგისტრატურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 3. განაცხადი

1. მაგისტრანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს სკოლის შესაბამისი კომისიის სახელზე, გადის გასაუბრებას კომისიის წინაშე ან აბარებს გამოცდას სპეციალობაში. ჩარიცხვისთვის სავალდებულოა კომისიის რეკომენდაცია.
2. გასაუბრების/გამოცდის საკითხებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე გასაუბრების დღემდე არაუგვიანეს 3 თვისა.
3. კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის არანაკლებ „B2“ (ინგლისურენოვანი პროგრამის შემთხვევაში “C1”) დონეზე ცოდნა. იგი გადის ტესტირებას ინგლისურ ენაში.
პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი ან/და წარმოადგენს პირველი ან მეორე საფეხურის აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში სწავლის დამადატურებელ საბუთს, ტესტირებისგან თავისუფლდება.
4. კონკურსანტი ვალდებულია განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლები (თუ ბაკალავრის დიპლომი და დიპლომის დანართი გაცემულია შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მიერ მას ნოტარიულად დამოწმება არ სჭირდება);
- პირადობის მოწმობა და მისი ასლი;

- ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3*4-ზე;
- უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის დამოწმებული ასლი, (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის).

მუხლი 4. მაგისტრატურაში სწავლის ხანგრძლივობა

1. მაგისტრანტმა პროგრამის ფარგლებში უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი. მაგისტრატურის სტანდარტული ხანგრძლივობაა 2 წელი. სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს, რომლებიც სწავლობენ არასრული დატვირთვით, შესაძლებელია პროგრამაზე სწავლა გაუხანგრძლივდეთ გონივრული ვადით.
2. მაგისტრატურაში მიღება ცხადდება წელიწადში ერთხელ შემოდგომის სემესტრში.

მუხლი 5. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განხილვა და დამტკიცება

1. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის აკრედიტაციის ვადით სკოლის დეკანი ქმნის კომისიას და ნიშნავს პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს/კოორდინატორს.
2. კომისია შემუშავებულ პროგრამას განსახილველად წარუდგენს სკოლის საბჭოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
3.დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის მოცულობა

1. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამა მოიცავს სასწავლო, კვლევით და პრაქტიკუ კომპონენტებს. მასში შედის თავისუფალი კომპონენტიც.
2. სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტს, რომლის დაგროვება სტუდენტს შეუძლია: იგივე სასწავლო მიმართულების/კონცენტრაციის ან/და სპეციალობის მოდულის საგნებიდან, სხვა სასწავლო მიმართულების/კონცენტრაციის ან/და სპეციალობის მოდულის საგნებიდან, სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანამანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
3. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებად.
4. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტია - საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/ პროექტი, რომლის მოცულობაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით.
5. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტი გაივლის: იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი/ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სკოლას ან თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის.
6. მაგისტრატურის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია დებულების დანართში.
7. მაგისტრატურის პრაქტიკული კომპონენტის შესრულებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით დამატებით დებულებებს განსაზღვრავს სკოლის საბჭო.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის თემის სახელოწოდებებს სავარაუდო ხელმძღვანელთა წარდგინებით ამტკიცებს სკოლის საბჭო.
2. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან/და შესაბამისი სამეცნიერო/პრაქტიკული გამოცდილება.
3. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი დახმარებას უწევს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებაში. ამ მიზნით ახორციელებს სტუდენტთან რეგულარულ შეხვედრა-კონსულტაციებს შემდეგ აქტუალურ საკითხებზე:
- ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავება;
- კვლევის დიზაინის შერჩევა;
- სამეცნიერო ლიტერატურაზე, შესაბამის პრაქტიკასა და ელექტრონული ბაზებზე, ასევე სხვა რესურსებზე წვდომა;
- საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის წერის პროცესის სწორად დაგეგმვა და განხორციელება.

4. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის თემის სახელწოდების არჩევა სტუდენტის მიერ მტკიცდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
5. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი 2 ნაბეჭდ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად სემესტრის ბოლოს სკოლის დეკანის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად წარედგინება სკოლის დეკანს, რომელიც ორგანიზაციას უწევს რეცენზენტის (შემფასებლის) დანიშვნას.
6. რეცენზენტი (შემფასებელი) დასკვნას წარმოადგენს დაცვის თარიღამდე ორი კვირით ადრე.
7. მეორე რეცენზენტის (შემფასებლის) დანიშვნის შემთხვევაში, ის დასკვნას წარადგენს დაცვის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.
8. დაცვაზე დასაშვებად მაგისტრანტი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ქვემოთ მოცემულ პირობას:
ა) შესრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობა/წინაპირობები;
ბ) უნდა ჰქონდეს ხელმძღვანელის დადებითი დასკვნა;
გ) „უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ შესაბამისად აუცილებელია სკოლის დეკანის გადაწყვეტილება ან/და სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისიის დასკვნა.
9. მაგისტრანტს წერილობით უნდა ეცნობოს რეცენზენტის (შემფასებლების) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე მაგისტრანტს უნდა მიეცეს მინიმუმ ერთი კვირა დაცვისათვის მოსამზადებლად. მაგისტრანტი ეცნობა საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის შეფასებებს.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისია

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისია იქმნება სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით.
2. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვის კომისია შედგება ხმის უფლების მქონე ხუთი წევრისაგან. კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
4. შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მუხლი 9. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვა

1. დაცვა არის საჯარო. მის მსვლელობასა და შედეგზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი. დაცვა ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ 15 წუთიანი მოხსენებით ნაშრომის წარმოდგენას-პრეზენტაციას.
2. მოხსენებას მოსდევს შეკითხვა-კამათი. დაცვა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. განსაკუთრებული შემთხვევის არსებობისას დროის დამატების თაობაზე გადაწყვეტილებას ადგილზე იღებს კომისია.

მუხლი 10. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დაცვაზე დადებითი შეფასების მიღების და არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში მაგისტრს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სკოლის საბჭო. უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნელს, კვალიფიკაციისა და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას.
2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემთხვევაში პირს ეძლევა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი _ დიპლომი.
3.დიპლომს ხელს აწერს სკოლის დეკანი და უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი და მისი შეფასების წესი

მუხლი 1. მიზანი

1. წინამდებარე წესი აწესრიგებს შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის სამაგისტრო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებისა და მისი შეფასების წესებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის მაგისტრატურის დებულების“ შესაბამისად;
2. შეფასების წესის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტს მაგისტრატურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ათვისებაში, გააცნოს მას შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანი

1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მაგისტრატურის პროგრამის სავალდებულო კომპონენტია. იგი მიზნად ისახავს ჩამოუყალიბოს სტუდენტს პრობლემის წარმოჩენის, ინოვაციების დამოუკიდებლად მოძიების, ანალიზის და კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების უნარი. კომპონენტი აგრეთვე მიზნად ისახავს მაგისტრანტის მომზადებას შემდეგი სამეცნიერო საქმიანობისათვის.
2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტია საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტი.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ სტუდენტს:

- **აქვს** სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა, რომელიც ქმნის საფუძველს ინოვაციისთვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის;
- **შეუძლია** სფეროში არსებულ პრობლემატურ საკითხებზე კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით, უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით; ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება; საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიური ასევე პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;
- **მართავს** კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; აანალიზებს სფეროში მიღებულ ცოდნას/ინიციატივებს/პრაქტიკას, და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის და პრატიკის განვითარებაში; დამოუკიდებლად წარმართვას სწავლის პროცესს.

მუხლი 4. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის მოცულობა

საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის მოცულობა შეიძლება იყოს 18-30 კრედიტი ანუ 450-750 საათი. საათობრივ დატვირთვაში საკონტაქტო საათების რაოდენობა გაითვალისწინება ინდივიდუალურად მაგისტრანტის საჭიროებებიდან გამომდინარე, მაგრამ საერთო ჯამში არ უნდა იყოს 15 საათზე ნაკლები.

მუხლი 5. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელის დასკვნა

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი სრულდება ხელმძღვანელის დასკვნით, და იმ შემთხვევაში თუ დასკვნა დადებითია გადაეცემა ერთ რეცენზენტს (შემფასებელს), რეცენზენტიც (შემფასებელიც), ისევე როგორც ხელმძღვანელი წერს დადებით ან უარყოფით დასკვნას (ხელმძღვანელის/რეცენზენტის დასკვნის ფორმა იხ. დანართ 2-ში).
2. ხელმძღვანელი და რეცენზენტი (შემფასებელი) ნაშრომს/პროექტს ამოწმებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
- კვლევის აქტუალობა;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა;
- პრობლემის ხედვა და დასაბუთება;
- კვლევის საბოლოო შედეგი.
3. ხელმძღვანელი და რეცენზენტი (შემფასებელი) თითოეულ კრიტერიუმში წერენ რომელიმე ქვემოთ მოცემულ შეფასებას:
- სრულყოფილი;
- კარგი;
- საშუალო;
- ცუდი.
4. ერთ კრიტერიუმში შეფასება „ცუდის“ დამსახურების შემთხვევაში ნაშრომზე იწერება უარყოფითი დასკვნა, ყველა სხვა შემთხვევაში დადებითი დასკვნა.
5. რეცენზენტის (შემფასებლის) მიერ უარყოფითი დასკვნის დაწერის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა მეორე რეცენზენტს (შემფასებელს) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელს ერთ კრიტერიუმში მაინც უწერია შეფასება „საშუალო“, თუ ხელმძღვანელს ნაშრომი ყველა კრიტერიუმით შეფასებული აქვს შეფასებით „კარგი“ ან/და „სრულყოფილი“ მეორე რეცენზენტი (შემფასებელი) არ ინიშნება და ნაშრომი გადის საჯარო დაცვაზე.
6. ხელმღვანელის ან რეცენზენტის (შემფასებლის) მიერ ნაშრომის შეფასების ნებისმიერ სტადიაზე პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში იწერება უარყოფითი დასკვნა და სტუდენტის მიმართ გამოიყენება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუხლი 6. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის შეფასება კომისიის მიერ

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) კომისიური წესით (კომისიის შეფასების ფორმა იხ. დანართ 3-ში).
2. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომს/პროექტს კომისიის თითოეული წევრი აფასებს მაქსიმუმ 100 ქულით. საბოლოო ქულა განისაზღვრება მათ მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი იყოფა წევრთა რაოდენობაზე). საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი დაცულად ჩაითვლება თუ მაგისტრანტი შეფასებისას დააგროვებს დააგროვებს 51 და მეტ ქულას.

3. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი –51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა –41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ა.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. ხოლო ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.
5. კომისიის წევრები საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომს/პროექტს აფასებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- საკვლევი თემის აქტუალობა - 5 ქულა;
- თემის სტრუქტურა - 5 ქულა;
- კვლევის მეთოდოლოგია - 5 ქულა;
- წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა - 5 ქულა;
- კვლევის საბოლოო შედეგი - 5 ქულა;
- კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა - 5 ქულა;
- პრობლემის ხედვა - 5 ქულა;
- საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება - 5 ქულა;
- ინოვაციური აზროვნება - 5 ქულა;
- მსჯელობის თანმიმდევრულობა - 5 ქულა;
- აკადემიური წერის კულტურა - 5 ქულა;
- ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება - 5 ქულა;
- პრეზენტაციის ტექნიკური მხარე - 5 ქულა;
- პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენება - 5 ქულა;
- დასმული პრობლემის სრულყოფილად წარმოჩენა - 5 ქულა;
- პრეზენტაციის ენობრივი სიზუსტე და გამართულება - 5 ქულა;
- დისკუსიის წარმართვის უნარი - 5 ქულა
- დასმულ კითხვებზე ადეკვატური და ამომწურავი პასუხი - 5 ქულა;
- საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი - 5 ქულა;
- პრეზენტაბელურობა - 5 ქულა.

6. წაყენებულ მოთხოვნათა შეფასება:

- 0 - არ შეესაბამება;
- 1 - ნაწილობრივ შეესაბამება, არის არსებითი ხარვეზი;
- 2 - არსებითად შეესაბამება, არის მნიშვნელოვანი ხარვეზი;
- 3 – შეესაბამება, არის ხარვეზი;
- 4 – მნიშვნელოვნად შეესაბამება, მცირე უზუსტობით;

- 5 - სრულყოფილად პასუხობს.

მუხლი 7. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის გაფორმება

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის მოცულობა უნდა იყოს, არანაკლებ 10 000 სიტყვისა (80 000 სიმბოლო გამოტოვების გარეშე) და არაუმეტეს 15 000 სიტყვისა (120 000 სიმბოლო გამოტოვების გარეშე);
2. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით შეიძლება საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ინგლისურ ენაზე შესრულებაც. ინგლისურენოვან პროგრამაზე საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი იწერება ინგლისურ ენაზე;
3. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297 210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ტექნოლოგიური სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად. მარცხენა მინდორი უნდა იყოს– 40 მმ, დანარჩენი მინდვრები – 25 მმ;
4. ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის სტანდარტული შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი;
5. გვერდები უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით (1, 2, 3 და ა.შ.);
6. ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1;
7. ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან;
8. ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით [1,2,3…]. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ბოლოს;
9. სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან ნაშრომის/პროექტის ბოლოს, შრიფტის ზომა –
10. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. თუ სქოლიო განთავსებულია ნაშრომის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი ნაშრომის განმავლობაში თანმიმდევრულია. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის სტრუქტურა

1. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდგ სტრუქტურულ ნაწილებს:
- სატიტულო ფურცელი (თავფურცელი);
- საავტორო უფლების გვერდი;

- ანოტაცია (რეზიუმე) ქართულ და ინგლისურ ენებზე არანაკლებ 300 სიტყვისა;
- შინაარსი (სარჩევი);
- ძირითადი ტექსტი: შესავალი, თავი, ქვეთავი, პარაგრაფი და დასკვნა;
- ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

2. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ ნაწილებს:

- გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;
- ცხრილების ნუსხა;
- ნახაზების ნუსხა;
- დანართები.

3. სატიტულო ფურცელი (თავფურცელი) აუცილებლად უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის ლოგოს, უნივერსიტეტის და სკოლის სახელწოდებას, საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დასახელებას, მაგისტრანტის გვარს, სახელს, საძიებელი აკადემიური ხარისხის აღმნიშვნელ ტექსტს - „წარდგენილია --------- მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თემის ხელმძღვანელის გვარს და სახელს, „თბილისი, 0160, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის წარდგენის წელი. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება. ამ გვერდზე წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

4. საავტორო უფლების გვერდი - საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტს - „როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ შესრულებულ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

5. ანოტაცია (რეზიუმე) უნდა მოიცავდეს საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 300 სიტყვისა;

6. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი უნდა შეიცავდეს შინაარსს (სარჩევს). ინტერვალი უნდა იყოს 1, შრიფტის ზომა - 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „ _“.

7. ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად, სხვადასხვა დონის ქვეთავებად, პარაგრაფებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს (დასკვნას);

8. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის ბოლოს ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობის მიხედვით.

9. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი წესები:

- სტატია - გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური.
- ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა. წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწისი–დასასრული.
- წიგნი -გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, [ტომი,] გვ.

- ინფორმაცია გლობალური ქსელი - ვებ-გვერდის დასახელება. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული – რიცხვი, თვე, წელი.

10. ცხრილების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში). ინტერვალი უნდა იყოს 1.5–2. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1.

შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

11. ნახაზების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“,„–“, „_“.

12. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა (საჭიროების შემთხვევაში): საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომში/პროექტში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის.

13. საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომი/პროექტი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM ან DVD- ROM დისკებზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის დასახელება.

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის **ხელმძღვანელის/რეცენზენტის**

დ ა ს კ ვ ნ ა

მაგისტრანტი ----------

საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის სახელწოდება ----------

---

ხელმძღვანელი/რეცენზენტი ----------

შეფასების კრიტერიუმები:

1. კვლევის აქტუალობა
2. კვლევის მეთოდოლოგია
3. წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა
4. პრობლემის ხედვა და დასაბუთება
5. კვლევის საბოლოო შედეგი

(დასკვნაში ყურადღება უნდა მიექცეს შეფასების თითოეულ კრიტერიუმს და საბოლოო შედეგი შეფასების ცხრილში აისახოს)

	შეფასება			
შეფასების კრიტერიუმი	**სრულყოფილი**	**კარგი**	**საშუალო**	**ცუდი**
კვლევის აქტუალობა				
კვლევის მეთოდოლოგია				
წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა				
პრობლემის ხედვა და დასაბუთება				
კვლევის საბოლოო შედეგი				

ხელმოწერა ---------- თარიღი ----------

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის **დაცვის კომისიის წევრის შეფასება**

მაგისტრანტი ----------

საკვალიფიკაციო (სამაგისტრო) ნაშრომის/პროექტის სახელწოდება ----------
---

კომისიის წევრი ----------

შეფასების კრიტერიუმი	**შეფასება**
საკვლევი თემის აქტუალობა	
თემის სტრუქტურა	
კვლევის მეთოდოლოგია	
წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა	
კვლევის საბოლოო შედეგი	
კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	
პრობლემის ხედვა	
საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება	
ინოვაციური აზროვნება	
მსჯელობის თანმიმდევრულობა	
აკადემიური წერის კულტურა	
ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება	
პრეზენტაციის ტექნიკური მხარე	
პრეზენტაციისათვის განკუთვნილი დროის რაციონალურად გამოყენება	
დასმული პრობლემის სრულყოფილად წარმოჩენა	
პრეზენტაციის ენობრივი სიზუსტე და გამართულება	
დისკუსიის წარმართვის უნარი	
დასმულ კითხვებზე ადეკვატური და ამომწურავი პასუხი	
საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი	
პრეზენტაბელურობა	
სულ:	

თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5 ქულით.

წაყენებულ მოთხოვნათა შეფასება:

- 0 - არ შეესაბამება;
- 1 - ნაწილობრივ შეესაბამება, არის არსებითი ხარვეზი;
- 2 - არსებითად შეესაბამება, არის მნიშვნელოვანი ხარვეზი;
- 3 – შეესაბამება, არის ხარვეზი;
- 4 – მნიშვნელოვნად შეესაბამება, მცირე უზუსტობით;
- 5 - სრულყოფილად პასუხობს.

ხელმოწერა ---------- თარიღი ----------